საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

სოციალური მომსახურების სააგენტო

ასოციაცია საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი

<u>ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი</u>
საარჩევნო სამოქალაქო განათლების პროგრამის განხორციელების შესახებ

10 თებერვალი 2015 წ

თბილისი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო და ააიპ ასოციაცია საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი (შემდგომში - მხარეები),

- გამოთქვამენ რა სურვილს, ხელი შეუწყონ ქვეყანაში თავისუფალი, მიუკერძოებელი, გამჭვირვალე, წარმომადგენლობითი არჩევნების ჩატარებას,
- ითვალისწინებენ რა, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად საარჩევნო კულტურის განვითარების მნიშვნელობას,
- იზიარებენ რა, საარჩევნო მიმართულებით საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით გრძელვადიანი, უწყვეტი, მაღალკვალიფიციური საარჩევნო სწავლებების/ტრენინგების აუცილებლობას,
- ხელმძღვანელობენ რა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, საარჩევნო მიმართულებით გენდერული თანასწორობისა და ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის პრინციპებით,

გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, რათა ხელი შეუწყონ ბავშვთა სახლებსა და ბავშვზე ზრუნვის სხვა ალტერნატიულ მომსახურებებში განთავსებული მოზარდებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას დემოკრატიული არჩევნების არსისა და არჩევნებში თითოეული ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის საკითხებზე, მათ ინფორმირებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ და აქტივობის ზრდის წახალისებას არჩევნებზე.

ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყონ:

- არჩევნების სფეროში სამოქალაქო განათლების პროგრამის განხორციელება ბავშვთა სახლებსა და ბავშვზე ზრუნვის სხვა ალტერნატიულ მომსახურებებში განთავსებული მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის;
- საჭიროებისამებრ, საარჩევნო საინფორმაციო კურსის განხორციელება ბავშვთა სახლებსა და ბავშვზე ზრუნვის სხვა ალტერნატიულ მომსახურებებში დასაქმებული თანამშრომლებისათვის;
- სასწავლო მასალების შემუშავება და სასწავლო პროგრამის განხორციელებისთვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა, მხარეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- სასწავლო პროგრამის უზრუნველსაყოფად ტრენერების გადამზადება;
- მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის შეხვედრების ორგანიზება საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებთან, დარგის ექსპერტებთან;
- სხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც აუცილებელი იქნება ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, მხარეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მხარეები თანხმდებიან, რომ მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობისას იხელმძღვანელებენ თანასწორუფლებიანობის, პატივისცემისა და ერთმანეთის ინტერესების დაცვის პრინციპებით.

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან განუსაზღვრელი ვადით. მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობით, წერილობითი ფორმით.

ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მის მიმართ მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა მხარეთათვის 30 დღით ადრე წერილობით შეტყობინების საფუძველზე. ერთ-ერთი მხარის მიმართ მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მემორანდუმის გაუქმებას დანარჩენი მხარეების მიმართ. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

წინამდებარე მემორანდუმი ღიაა ხელმოსაწერად საქართველოს სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობას შესთავაზებენ მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

---------- თამარ ჟვანია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

---------- ნათია ზაალიშვილი

სოციალური მომსახურების სააგენტო

---------- გაიოზ თალაკვაძე

ასოციაცია საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი

---------- ზვიად ბერძენიშვილი